ს.ს.ი.პ. მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის
მონიტორინგის ეროვნული სააგენტო

ბრძანება

N 2-50 16.06.2023 ქ. თბილისი

სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს შრომის შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს შრომის კოდექსის 23-ე მუხლის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 დეკემბრის N2-1258 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს შრომის შინაგანაწესი
2. ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული შრომის შინაგანაწესის სააგენტოს თანამშრომელთათვის გაცნობა.
3. ბრძანება ამოქმედდეს 2023 წლის 20 ივნისიდან.
4. ეს ბრძანება მისი გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

გიორგი მიშელაძე

თავმჯდომარე